ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2817998

ნომერი: AR1437635

თარიღი : 05.09.2016

გაცემის თარიღი : 07.09.2016

გაცნობის თარიღი : 07.09.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი , მიკრო/რაიონი I და II-ს შორის , (ნაკვეთი N16/53) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით გოგოხია პ/ნ 62006000258
- თბილისი, გლდანი II მ/რ, კორპ. 44, ბინა 33

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- III კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 1558417
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 28.10.2015

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზედ თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 31/12/2015წ. №ბ–107493/07 ბრძანებაში დაფიქსირებული ხარვეზების შესაბამისად ირკვევა, რომ განხორციელებული მშენებლობის მიხედვით, "1-3" და "3-1" ღერძებში წყლის მილის, საკომუნიკაციო მილის და საჰაეროების მოწყობით ირღვევა სამეზობლო მიჯნა. აქედან გამომდინარე საჭიროა დაიცვათ მიჯნის ზონა (ასეთ შემთხვევაში უნდა წარმოადგინოთ ზედამხედველობის საქალაქო სასახურის ბრძანებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის აქტი) ან წარმოადგინოთ მომიჯნავე ნაკვეთების საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მესაკუთრეების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობები მიჯნის ზონაში წყლის მილის, საკომუნიკაციო მილის და საჰაეროების მოწყობის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დადგენილი სანებართვო პირობების დარღვევით/შეუსრულებლობით განხორციელებული მშენებლობა ქალაქგეგმარებით პირობებთან შეუსაბამობაშია და სამსახური ამ ეტაპზე მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის დადასტურების შესახებ.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.